## ადვოკატთა ასოციაციის აქტივობა



### ადვოკატის განახლებული პორტალი

დაინერგა ადვოკატის ახალი პორტალი, რომელიც შეიქმნა USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით. სწორედ აღნიშნული პორტალის საშუალებით, თითოეული ადვოკატი თავად განახორციელებს საკუთარი საგანმანათლებლო პროცესის მართვას, მათ შორის სასურველ ტრენინგზე დარეგისტრირებას, ონლაინ ტრენინგების გავლას, ტრენინგების ხარისხის შეფასებას, კრედიტების მონიტორინგს, ა.შ. ამასთან, განახლებული პორტალი საგანმანათლებლო პროცესების ელექტრონულად მართვის საშუალებას მისცემს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეებსა და მენტორ ადვოკატებს.

პორტალების გამოყენების საინფორმაციო სესიებზე რეგისტრაციისთვის იხილეთ კალენდარი: https://bit.ly/2VOVurb

### პოლონელი ეკონომისტი, რეფორმატორი და სახელმწიფო მოღვაწე - ლეშეკ ბალცეროვიჩი სტუმრად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში



გამოჩენილი პოლონელი ეკონომისტი, რეფორმატორი და სახელმწიფო მოღვაწე - ლეშეკ ბალცეროვიჩი, სამუშაო ვიზიტით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ეწვია.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა კანონის უზენაესობის და სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით პოლონეთსა და საქართველოში არსებულ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებზე ისაუბრეს. პოლონეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ლეშეკ ბალცეროვიჩმა ასევე მიმოიხილა ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების გზაზე თუ რა მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ სასამართლოსა და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემას.




### კორპორაციული შეთავაზებები ადვოკატებს

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც მოქმედი ადვოკატებისთვის დაინერგა, კორპორაციული შეთავაზებების (ფასდაკლებები, განსაკუთრებული პირობები, ა.შ.) განვითარებას გულისხმობს.

ასოციაციის მიერ სხვადასხვა კომპანიებსა თუ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად, ასოციაციის წევრები აღნიშნული დაწესებულებებისგან მიიღებენ კორპორაციულ პირობებს. აღნიშნული სია პერიოდულად განახლდება და დაემატება ახალი კორპორაციული შეთავაზებები: https://bit.ly/3ehs3Xe

## ადვოკატთა ასოციაციის აქტივობა



### აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადვოკატების ვიზიტი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს (INL) მხარდაჭერით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას სამუშაო ვიზიტით აშშ-ს ჯორჯიის შტატის ადვოკატები ეწვივნენ.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სფეროში ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით უკვე განხორციელებული ღონისძიებები, ისევე როგორც სამომავლო აქტივობები, მათ შორის დამატებითი სიღრმისეული ტრენინგებისა და ტრენერთა-ტრენინგების განხორციელების საკითხები, რასთან დაკავშირებითაც აქტიურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

### ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა მომიჯნავე სამართლებრივ აქტებში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა მომიჯნავე სამართლებრივ აქტებში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის განხილვის მიზნით, ევროპის საბჭოსა და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით სამუშაო შეხვედრა გაიმართა.




განხილული საკანონმდებლო პაკეტი  მიზნად ისახავს ადვოკატის როლის და სტატუსის შემდგომ გაძლიერებას და შეიცავს ადვოკატის პროფესიასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ადვოკატის სტაჟიორის საპროცესო უფლებამოსილებები;  სასამართლო ხარჯების განაწილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით; უკანონო საადვოკატო საქმიანობის აკრძალვა; ფიზიკური პირის მიერ საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის საშეღავათო დაბეგვრა; „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება ადვოკატის საქმიანობაზე; შეღავათი სახელმწიფო ბაჟში ადვოკატის ჰონორართან დაკავშირებულ დავებზე, და სხვა.

30 მარტიდან, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მესამე ნაკადის 6 ჯგუფისა და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი კურსის 3 ჯგუფისთვის სალექციო სესიები დაიწყო.

იმ მიზნით, რომ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე არ დაბრკოლდეს პროფესიაში შემომსვლელ პირთა მიერ შესაბამისი საფეხურების გავლა, სალექციო სესიები ონლაინ სწავლების პლატფორმის საშუალებით მიმდინარეობს, რომლის ეფექტურ გამოყენებაშიც შესაბამისი ინსტრუქციები გაიარეს როგორც ტრენერებმა, ასევე თითოეული ჯგუფის მონაწილემ.

## ადვოკატთა ასოციაციის აქტივობა




### ჯანმრთელობის კორპორაციული დაზღვევა

ადვოკატებისთვის კორპორაციული ჯანმრთელობის დაზღვევის შეთავაზების მიზნით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ დაასრულა მოლაპარაკებები კომპანია ''არდი'' - სთან.

სადაზღვევო კომპანია ''არდი'' ასოციაციის წევრებს სთავაზობს შეღავათიან კორპორაციულ პაკეტს. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/2V5RNOx

### ადვოკატთა ასოციაციის განახლებული ჟურნალი - ,,ჩემი ადვოკატი"

განახლებული ფორმატით გამოდის ჟურნალ ''ჩემი ადვოკატი''-ს მესამე ნომერი.

მესამე ნომერი საინტერესო სტატიებით: სესხისა და მევახშეობის ურთიერთმიმართება; სამედიცინო მომსახურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების კანონით დადგენილი წინაპირობების ასახვა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა საკუთრე-ბის უფლებაზე და მისი დაცვის საშუალებები; ბლოკჩეინის სამართალი: გონიერი კონტრაქტები და ტოკენიზაცია; კონფიდენციალობის დაცვა საადვოკატო საქმიანობაში; ალ-ბაშირის ცალმხრივი ბილეთი ჰააგისკენ: შესუსტდა კი სახელმწიფო მეთაურების იმუნიტეტი?; გამოხატვის თავისუფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარება ინტერნეტ სივრცისა და სოციალურ ქსელთან დაკავშირებით;




წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად ევროპის საბჭოს მიერ დამტკიცდა მხარდაჭერის პროექტი, რომელიც მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციაზე იქნება ორიენტირებული და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ინსტიტუციური გაძლიერება, საგანმანათლებლო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება, დისციპლინური წარმოების მიმართულების მხარდაჭერა და სხვ.

## ადვოკატთა ასოციაციის აქტივობა

✓ ადვოკატთა ასოციაციაში საერთაშორისო იურიდიული თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე გამოითქვა მზაობა, რომ არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, საქართველოს იურიდიული პროფესიისთვის მნიშვნელოვანი არაერთი მიმართულებით.

✓ ევროკავშირისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ)-ის თანადაფინანსებული პროექტის "საქართველოს კომერციული სამართლისა და პრაქტიკის გაუმჯობესება" ფარგლებში, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე - რელაციის მეთოდი ადვოკატებისთვის.

## საქართველოში COVID-19 ვირუსის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებები:

✓ აპარატის ყველა სერვისის დისტანციურ რეჟიმში შენარჩუნება:https://bit.ly/2VnBCv4

✓ საადვოკატო საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების რეკომენდაციების შემუშავება: http://bit.ly/3cUE97P

✓ ონლაინ სასამართლო სხდომებში ადვოკატთა მხარდაჭერა:https://bit.ly/2U7tGOY

✓ კომენდანტის საათებში ადვოკატის შეუფერხებლად გადაადგილებაში მხარდაჭერა:https://bit.ly/2ULML8y

✓ ონლაინ პლატფორმის გამოყენებით განახლდა, ახალი პორტალების გამოყენებასთან დაკავშირებული საინფორმაციო სესიებისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერილი ტრენინგები. შესაბამისი კალენდრის სანახავად და რეგისტრაციისთვის იხილეთ ბმული:https://bit.ly/2RFH6jM

✓ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ იქნა წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებები, რომელიც აღმასრულებელი საბჭოს ერთხმივი გადაწყვეტილებით დამტკიცდა: https://bit.ly/2TgA9q5

## ადვოკატთა ასოციაციის აქტივობა

### ეთიკის კომისიის მიერ რეკომენდაციათა გაცემა

გაეცანით ადვოკატების შეკითხვებით მომართვის საფუძველზე ეთიკის კომისიის გაცემულ რეკომენდაციებს კლიენტებთან, საქმისმწარმოებელ ორგანოებთან, პროცესის მონაწილეებთან და კოლეგებთან ურთიერთობის ქცევის სტანდარტებზე: https://bit.ly/3a5MR0l

### ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკა

საუნივერსიტეტო სწავლების პრაქტიკული კომპონენტი - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კლინიკამ სტუდენტთა ახალი ნაკადი, 16 სტუდენტი მიიღო და მარტის თვიდან ონლაინ ფორმატში დაიწყო სწავლება. კლინიკის მიზანია სტუდენტებში ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ ცოდნის გავრცელება და იურისტის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გზით. კლინიკა განკუთვნილია მაგისტრატურის/ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის, როგორც საუნივერსიტეტო სწავლების პრაქტიკული კომპონენტი.



კლინიკის მხარდამჭერია USAID EWMI-PROLoG-ის პროექტი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური გაძლიერება.

რეკომენდაციაში N011/19, 15.01.2020 ადვოკატის შეკითხვაზე, სსსკ-ის 50-ე მუხლით ჩვენების მიცემის დროს საადვოკატო საქმიანობისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების ფარგლები როგორია, თუ ადვოკატი ჩვენებას იძლევა იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია, როგორც ადვოკატს და ინფორმაციას ფლობს კლიენტისთვის სამოქალაქო საქმეზე კონსულტაციის გაწევრის პროცესიდან, ეთიკის კომისიამ იმსჯელა დამოუკიდებლობისა და პროფესიული საიდუმლოების დაცვის ჭრილში. კომისიის შეფასებით, ადვოკატმა არ უნდა გასცეს პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია, გარდა პროფესიული ქცევის მომწესრიგებელი აქტებით დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევებისა და ეს ვალდებულება ზღუდავს ადვოკატს გაამჟღავნოს ერთ საქმეზე მიღებული ინფორმაცია იმ საქმეში, სადაც ადვოკატის სტატუსით არ მონაწილეობდა: https://bit.ly/2xmc2yC